რეზერვირებული დომენური სახელების რეგისტრაციის სპეციალური პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია .GE დომენის ადმინისტრაციისა და რეგისტრაციის წესების („**დომენის რეგულაცია**“) 3.2.5. პუნქტის შესაბამისად განსაზღვროს რეზერვირებული **დომენური სახელების** რეგისტრაციის სპეციალური პირობები.

1. **რეზერვირებული დომენური სახელების სია**

1.1 ქვეყნების სახელები რეზერვირებულია შესაბამისი ქვეყნის საკონსულოსა ან საელჩოსთვის. ქვეყნების სია გამოქვეყნებულია **ადმინისტრატორის** ვებ-გვერდზე, როგორც „ქვეყნების სახელწოდებები”.

1.2 შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ წარმომადგენელს (საელჩო, საკონსულო ან მსგავსი) შეუძლია მიმართოს **რეგისტრატორს** რეზერვირებული დომენური სახელის დასარეგისტრირებლად.

1.3 საქართველოს ყველა ქალაქის და ადმინისტრაციული ერთეულის იდენტური და მსგავსი დასახელება რეზერვირებულია რეგისტრაციისთვის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ან უფლებამოსილი პირისთვის.

1.4 ყველა **დომენური სახელი**, რომელიც შედგება ციფრებისგან და მსგავსია ან იდენტურია სატელეფონო კოდისა რეზერვირებულია ასეთი სატელეფონო კოდის მფლობელისათვის.

2. **რეზერვირებული დომენური სახელების რეგისტრაციის პირობები**

2.1 **რეგისტრანტს**, რომელსაც სურს დაირეგისტრიროს რეზერვირებული **დომენური სახელი,** უნდა წარადგინოს განაცხადი **რეგისტრატორთან**, რომელი განაცხადიც გარდა **დომენის რეგულაციით** განსაზღვრულისა უნდა შეიცავდეს შესაბამისი რეზერვირებული **დომენური სახელის** რეგისტრაციის უფლების ქონის დამადასტურებელ დოკუმენტს.

2.2 რეგისტრანტი პასუხისმგებელია **რეგისტრატორისთვის** წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე. **რეგისტრანტი** ვალდებულია აცნობოს **რეგისტრატორს** წარდგენილი ინფორმაციის ცვლილების შესახებ 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ელექტრონული განაცხადის წარდგენის გზით.

2.3 რეგისტრატორი ამოწმებს რეზერვირებული **დომენური სახელის** დასარეგისტრირებლად წარდგენილ ინფორმაციას და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განაცხადი აკმაყოფილებს სარეგისტრაციო მოთხოვნებს აგზავნის განაცხადს **ადმინისტრატორთან**.